

შპს მისო ბზ კრედიტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

მისო ბზ კრედიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ლადო ასათიანის ქ., №36ა, სართული 2, ბინა 1. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, გამსახურდიას განზ. №34/აღლ. ყაზბეგის გამზ. №2, შენობა №1, მეოთხე სართული, ოთახი №3. მისი ძირითადი საქმიანობაა სხვა სახის საკრედიტო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

2.1 ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება, მომსახურების გაწევის შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.3 მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველწლიურად.

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

<i>ოფისის აღჭურვილობა</i>	<i>20 პროცენტი</i>
<i>ავეჯი და სხვა ინვენტარი</i>	<i>20 პროცენტი</i>
<i>იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა</i>	<i>15 პროცენტი</i>

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.5 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი

ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ს) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.7 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო

ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.12 საპენსიო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს დაქირავებულ თანამშრომელთა დამატებითი საპენსიო პროგრამები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპენსიო ვალდებულებებისა, დამატებითი საპენსიო ანაზღაურება ან/და სხვა მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც მოითხოვს დამატებით დარიცხვას.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2019	2018
მომსახურების გაწევა	1,354,931	3,141,115
საქონლის რეალიზაცია (მიწოდებაში ჩართვა)	447.00	490.00
	<u>1,355,378</u>	<u>3,141,605</u>

5. ფინანსური დანახარჯები

	2019	2018
პარტნიორის სესხის პროცენტი	(463,222)	(340,278)

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2019	2018
მიმდინარე გადასახადი	129,689	366,975

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო დებიტორები	414,321	5,069,443
წინასწარი გადახდები	<u>3,964</u>	<u>26,340</u>
	418,285	5,095,783

12. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვი ლობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმ ონაობა
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2019 წ.	66,686	27,940	6,552
შემოსვლა	1,922	120	0
გასვლა	(3,526)	(5,755)	(6,552)
31 დეკემბერი, 2019 წ.	65,082	22,305	0
 დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი, 2019 წ.	13,558	8,422	463
წლიური ცვეთა	10,342	3,680	0
გაუფასურება	162	1,660	0
31 დეკემბერი, 2019 წ.	23,738	10,442	463
 საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2019 წ.	41,344	11,863	(463)

13. არამატერიალური აქტივები

ლიცენზიები და სხვა არამატერიალური აქტივები:

თვითღირებულება

1 იანვარი, 2019 წ.	794,476
შემოსვლა	0
გასვლა	0
31 დეკემბერი, 2019 წ.	<u><u>794,476</u></u>

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი, 2019 წ.	266,357
წლიური ამორტიზაცია (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში*)	0
31 დეკემბერი, 2019 წ.	<u><u>266,357</u></u>

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2019	<u><u>528,119</u></u>
--------------------	-----------------------

* თუ საწარმო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების კლასიფიცირებას ახორციელებს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, მაშინ აქ აღნიშნული იქნებოდა: ჩართულია „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში“.

14. პარტნიორის სესხი

2019	2018
ლარი	ლარი

პარტნიონის სესხი

253,341 4,790,358

სესხი აღებულია ევროში. 2018 წელს, წლის განმავლობაში მიღებული სესხის ჯამური ღირებულება ევროში არის 1,606,895, ხოლო 2019 წელს 82,925.

15. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი. ამ იჯარების საშუალო ვადა სამი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

	2019 ლარი	2018 ლარი
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	48,785	39,871

16. კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 3,319,182 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 11,319,182 ლარს.

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	280,327	388,197
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	39	11,242
	280,366	399,439

18. ლიკვიდაცია.

საწარმო(კომპანია) 2019 წლის 2 ოქტომბერს დაიწყო ლიკვიდაცია, და დაასრულა 2020 წლის 4 აგვისტოს. რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერში შეტანილი ცვლილებების მიხედვით.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ხვედელიანი

ხელმოწერა:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	280,366	399,438	792,065
მოთხოვნები ბანკების მიმართ		0	0	0
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები		0	0	0
წარმოებული ფინანსური აქტივები		0	0	0
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით		0	0	0
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		0	0	0
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	414,321	5,069,443	3,810,781
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი		0	0	0
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		0	0	0
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები		0	0	0
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		0	0	0
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		0	0	0
გირაოში დარჩენილი ქონება		0	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		0	0	0
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი		0	0	0
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		0	0	0
სხვა ფინანსური აქტივები		0	0	0

სხვა აქტივები		4,273	26,399	6,006
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	13	528,119	528,119	619,098
ძირითადი საშუალებები	12	52,743	78,736	50,067
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები		0	0	0
სულ აქტივები		1,279,822	6,102,135	5,278,017

ვალდებულებები				
ვალდებულებები ბანკების წინაშე		0	0	0
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		0	0	0
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით		0	0	0
ვალდებულებები კლიენტთა წინაშე	15	5,279	37,163	23,715
გამომწეული სავალო ფასიანი ქაღალდები		0	0	0
სხვა ნასესხები თანხები		117,198	11,401,774	6,833,249
ფინანსური იჯარის ვალდებულება		0	0	0
სხვა ფინანსური ვალდებულებები		0	0	0
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		0	0	0
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		0	0	0
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		42,043	1,007,761	549,660
სუბორდინირებული სესხი		0	0	0
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		164,520	12,446,698	7,406,624

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16	11,319,182	3,319,182	3,319,182
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
წილობრივი გადახდის რეზერვი		0	0	0
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი		0	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(10,203,880)	(9,663,745)	(5,447,789)
სხვა რეზერვები		0	0	0
საკუთარი კაპიტალი		1,115,302	(6,344,563)	(2,128,607)

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,279,822	6,102,135	5,278,017
--	-----------	-----------	-----------

დირექტორი:

გიორგი ხვედელიანი

ხელმოწერა:



საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი:		1,354,931	2,935,058
კლიენტებზე გაცემული სესხებიდან		1,354,931	2,935,058
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან		0	0
სხვა საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი :		(217,753)	(483,380)
კლიენტების ანგარიშებზე		0	0
ნასესხებ სახსრებზე		(217,753)	(483,380)
სხვა საპროცენტო ხარჯი		0	0
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,137,178	2,451,678
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		0	
გაცემულ სესხებზე		0	0
რეალიზებად სავალო ფასიან ქაღალდებზე		0	0
რეალიზებად წილობრივ მონაწილეობის საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე		0	0
მოთხოვნებზე ბანკების მიმართ		0	0
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებზე		0	0
გამოსყიდვის ხელშეკრულებით მისაღებ ფასიან ქაღალდებზე		0	0
მოთხოვნებზე ფინანსური იჯარიდან		0	0
სხვა ფინანსურ აქტივებზე		0	0
(ანარიცხი) / რევერსირება ფინანსურ გარანტიებზე		0	0
(ანარიცხი) / რევერსირება შესრულების გარანტიებზე		0	0
ჯამური გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება		0	0

შემოსავალი მოსაკრებლიდან და საკომისიოდან		0	206,057
ხარჯი მოსაკრებლიდან და საკომისიოდან		0	0
წმინდა შემოსავალი მოსაკრებლიდან და საკომისიოდან		0	206,057
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება(ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს		0	0
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება გირაოში დარჩენილი ქონებაზე		0	0
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება სხვა აქტივებზე		0	0
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან		0	0
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან		0	0
გაუფასურების ხარჯი გუდვილიდან		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან		0	0
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		0	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან		0	0
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		1,334	(139,810)

სხვა საოპერაციო შემოსავალი		5,957	38,627
პერსონალის ხარჯი		(352,704)	(1,165,959)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(41,730)	(1,418,925)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		0	(24,488)
ცვეთა და ამორტიზაცია		(14,022)	(105,624)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,838,817)	(9,791,400)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(1,102,804)	(9,949,844)
მოგების გადასახადი			0
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(1,102,804)	(9,949,844)
შეწყვეტილი ოპერაციები			0
მოგება / (ზარალი)		(1,102,804)	(9,949,844)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):			
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან		0	0
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში		0	0
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი		0	0
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:			
უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის წარსადგენ ვალუტაში გადანაგარიშების წილი		0	0
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში		0	0
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):			
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		0	0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(1,102,804)	(9,949,844)
საბაზისო მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:			
განგრძობითი ოპერაციებიდან		0	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან		0	0
გაზავებული მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:		0	
განგრძობითი ოპერაციებიდან		0	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან		0	0

დირექტორი:

გიორგი ხვედელიანი

ხელმოწერა:



ფულადი სახსრების მოძრაობა

	შენიშვნა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,196,219	(4,286,265)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,282)	(50,767)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(3,314,009)	3,944,405
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(119,072)	(392,627)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		399,438	792,065
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		280,366	399,438

დირექტორი:

გიორგი ხვედელიანი

ხელმოწერა:

